



საქართველოს სტატისტიკის
ეროვნული სამსახური



ქალი და კაცი საქართველოში

სტატისტიკური პუბლიკაცია

თბილისი - 2020

შინაარსი

გენდერული თანასწორობა	4
გენდერული სტატისტიკის მნიშვნელობა	5
ქვეყანაში განხორციელებული აქტივობები	6
მეგზური მკითხველისთვის	9
მოსახლეობა	10
ჯანმრთელობის დაცვა	34
განათლება	46
სოციალური უზრუნველყოფა	62
სამუშაო ძალა, ხელფასები	70
ცხოვრების დონე	76
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	86
ბიზნეს სექტორი	92
სამართალდარღვევები	102
ხელისუფლება	112
ცნებები და განმარტებები	118
შენიშვნები	129

პირობითი აღნიშვნები

- ... მონაცემი არ არსებობს
- მოვლენა არ არსებობს
- 0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა

შემოკლებები

- საქსტატი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- SDGs - Sustainable Development Goals (მდგრადი განვითარების მიზნები)
- გაერო - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

ცალკეულ შემთხვევებში განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობა ნიშნავს ქალისა და კაცის, გოგოსა და ბიჭის თანაბარ უფლებებს, პასუხისმგებლობებსა და შესაძლებლობებს. თანასწორობა არ გულისხმობს, რომ ქალი და კაცი იდენტურნი უნდა გახდნენ, თანასწორობა გულისხმობს იმას, რომ ადამიანის სქესი არ უნდა განსაზღვრავდეს მის უფლებებს, პასუხისმგებლობასა და შესაძლებლობებს. გენდერული თანასწორობა გულისხმობს, რომ როგორც ქალების, ასევე კაცების ინტერესები, საჭიროებები და პრიორიტეტები მიიღება მხედველობაში ქალებისა და კაცების ჯგუფების მრავალფეროვნების გათვალისწინებით.¹⁾

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი (ცვლილებები დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წელს) და კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ (დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2010 წელს), უზრუნველყოფს ქალებისთვის და კაცებისთვის თანაბარ უფლებებს და შესაძლებლობებს, ასევე აღიარებს განსაკუთრებული ზომების მიღების აუცილებლობას ქალებსა და კაცებს შორის არსებითი თანასწორობის მისაღწევად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

2006 წლის საქართველოს გენდერული თანასწორობის კონცეფციის მიხედვით, გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა განუყოფელი ნაწილია. იგი გულისხმობს ქალთა და კაცთა თანაბარ წარმოჩენას, უფლებამოსილებასა და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროში. ამასთანავე, გენდერული თანასწორობა მდგრადი და ადამიანზე ორიენტირებული განვითარების წინაპირობა და მაჩვენებელია.²⁾

გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალებისა და გოგოების გაძლიერება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაწილია. აქ წარმოდგენილი სქესის ნიშნით გაყოფილი რაოდენობრივი მონაცემები არა მხოლოდ ქალებისა და კაცების მდგომარეობას ასახავს საქართველოში, არამედ, ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

¹⁾ გაეროს ქალთა ორგანიზაცია, გენდერული მენისტრიმინჯი - ცნებები და განმარტებები. ხელმისაწვდომია აქ: <http://www.un.org/womenwatch/osagi/conceptsanddefinitions.htm>

²⁾ იხილეთ იქვე.

გენდერული სტატისტიკის მნიშვნელობა

გენდერული სტატისტიკა - ეს არის სტატისტიკა ქალისა და კაცის მდგომარეობის შესახებ საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროში. ის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას იძლევა ქალების, კაცების, გოგოებისა და ბიჭების პრიორიტეტები და საჭიროებები იმგვარად იყოს გათვალისწინებული პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესებში, რომ უზრუნველყოთ ამ პოლიტიკის მიერ მოტანილი სარგებლის და შედეგების თანასწორობა ყველასთვის.

გენდერული სტატისტიკის მიზანია მიუკერძოებელი მონაცემების წარმოება ქალისა და კაცის სტატუსისა და გენდერული თანასწორობის რეალური ვითარების შესახებ. სქესის ნიშნით დიფერენცირებული სტატისტიკური აღრიცხვის მიხედვით მონაცემთა შეგროვების სრულყოფა და გაფართოება მეტად მნიშვნელოვანია გენდერულ თემატიკაზე მომუშავე პირებისთვის, საკანონმდებლო ორგანოს, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მიზნების ნაციონალიზაცია საქართველოს მთავრობამ 2015 წელს დაიწყო, და გლობალური 17 მიზნის ადაპტაციით, განსაზღვრა საქართველოსთვის პრიორიტეტული ამოცანები, მაჩვენებლები და სამიზნეები. SDG დღის წესრიგის განხორციელებით, 2030 წლისთვის ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მდგომარეობა გენდერული თანასწორობის მიმართულებით; SDG მიზანი 5 თანმდევი ამოცანით ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის მიღწევას და ყველა ქალისა და გოგოს შესაძლებლობების გაუმჯობესებას. გენდერული მაჩვენებლები და სამიზნეები გაწერილია აგრეთვე სხვადასხვა მიზანში, რომელთა ამოცანების შესრულება ასევე მნიშვნელოვანია. წინამდებარე პუბლიკაციაში ასახულია საქართველოს გენდერული სტატისტიკის კავშირი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამის მაჩვენებლებთან.

ქვეყანაში განხორციელებული აქტივობები

- 1994 განხორციელდა CEDAW კონვენციის ხელმოწერა და რატიფიცირება ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;
- 1995 მიღებული იქნა პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა;
- 1999 მიღებული იქნა 511-ე დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს ქალთა უფლებების დაცვის გაძლიერების შესახებ საქართველოში;
- მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის ვალდებულებების პროაქტიური განხორციელების კუთხით, რომელიც განსაზღვრულ იქნა CEDAW, BPfA, MDGs, მოსახლეობის განვითარების საერთაშორისო კონფერენციაზე (ICPD) სამოქმედო პროგრამის შესაბამისად, კერძოდ:
- 1) ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავების ფარგლებში ქალთა უფლებების უზრუნველყოფა;
 - 2) ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია და რეაგირება;
 - 3) კონფლიქტურ რეგიონებში ქალთა საკითხების გადანყვეტა და მცდელობები ღონისძიებების განსახორციელებლად;
 - 4) ქალთა რიცხოვნობის გაზრდა ძალაუფლებისა და გადანყვეტილების მიღების პროცესში;
- 2004 შეიქმნა გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო;
- 2004 განხორციელდა ათასწლეულის განვითარების მიზნების (MDG) ეროვნულ დონეზე მორგება: მიზანი 3 - გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა უფლებების გაძლიერება:
- გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა დასაქმების სფეროში;
 - თანაბარი ხელმისაწვდომობა პოლიტიკურ სფეროსა და მენეჯმენტის ყველა საფეხურზე;
- 2005 შეიქმნა გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია;

- 2006 დამტკიცდა გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია;
- 2006 დამტკიცდა საქართველოს კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“;
- 2006 დამტკიცდა საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“;
- 2010 დამტკიცდა საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ;
- 2012 განხორციელდა ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის დანაშაულად გარდაქმნა;
- 2013 შეიქმნა თანამდებობა - პრემიერ მინისტრის თანაშემწე ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში;
- 2013 სახალხო დამცველის აპარატში ჩამოყალიბდა გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი, როგორც მუდმივმოქმედი სტრუქტურული ერთეული;
- 2013 სახალხო დამცველის აპარატმა შეიმუშავა სამოქმედო გეგმა 2013-2015 წლებისთვის, ასევე, გაეროს ტექნიკური დახმარებით შემუშავდა სტრატეგია გენდერის მეინსტრიმიმინგთან დაკავშირებით;
- 2014 დამტკიცდა საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
- 2014 ხელი მოეწერა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციას (ე.წ. სტამბულის კონვენცია);
- 2014 განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებების პირველი ტალღა, კანონმდებლობის ჰარმონიზება სტამბულის კონვენციის შესაბამისად;
- 2015 საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დაამტკიცა გენდერული თანასწორობის სტრატეგია, დაინიშნა კოორდინატორი გენდერულ საკითხებში;

- 2016 შეიქმნა ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო;
- 2017 მოხდა ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება;
- 2017 შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია;
- 2018 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი;
- 2018 დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა 2018-2020 წლებისთვის;
- 2019 საქართველომ აირჩია ქალი პრეზიდენტი;
- 2019 საქართველომ გაეროში წარადგინა პეკინის მოქმედებათა პლატფორმის 25 წლის განხორციელების ანგარიში;
- 2020 საქართველოს ევროპის საბჭოს გრევიოს კომიტეტს წარუდგინა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენციის განხორციელების პირველი ანგარიში;
- 2020 საქართველომ გაეროს წარუდგინა CEDAW კონვენციის მეექვსე პერიოდული ანგარიში;
- 2020 საარჩევნო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, საქართველოში პირველად შემოღებულ იქნა კვოტები ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის მიზნით.

მეზღური მკითხველისთვის

“ქალი და კაცი საქართველოში” გენდერული პრობლემებისადმი მიძღვნილი მეთორმეტე სტატისტიკური პუბლიკაციაა. წინა წლების პუბლიკაციებში წარმოდგენილ მონაცემებთან ერთად, იგი მოიცავს 2018 წელს განხორციელებული მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგად მიღებულ ახალ მაჩვენებლებს, რომლებიც შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნებს.

პუბლიკაციაში მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ასახავს ქვეყანაში ჩამოყალიბებული გენდერული თანასწორობის 2019 წლის ძირითად ტენდენციებს. უმრავლეს შემთხვევაში ცხრილებში და დიაგრამებში წარმოდგენილია აბსოლუტური რიცხვები/რაოდენობა ან პროპორციები. პროპორციები/პროცენტული განაწილება წარმოდგენილია ორგვარად: პროცენტული წილი და სქესის მიხედვით განაწილება:

- ▶ პროცენტული წილი - გარკვეული მახასიათებლის პროპორცია თითოეული სქესისთვის ცალ-ცალკე; მაგალითად, ქალი სტუდენტების განაწილება სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიხედვით;

- ▶ სქესის მიხედვით განაწილება - გარკვეული მახასიათებლის განაწილება სქესის მიხედვით; მაგალითად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტი ქალების და კაცების პროცენტული წილი.

პუბლიკაცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს გენდერული პრობლემების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებასა და გენდერული თანასწორობის სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას.

მონაცემები ემყარება საქსტატის გამოკვლევებს და ადმინისტრაციულ წყაროებს.

საქმიანი შენიშვნები და წინადადებები პუბლიკაციის ფორმატისა და შინაარსის შესახებ, ავტორთა ჯგუფის მიერ მადლიერებით იქნება მიღებული.

ქალი და კაცი
საქართველოში

მოსახლეობა



1990-იანი წლების დასაწყისში, დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან, საქართველოს მოსახლეობამ არსებითი ცვლილებები განიცადა. მოსახლეობის რიცხოვნობა მნიშვნელოვნად შემცირდა ფართომასშტაბიანი მიგრაციული პროცესების შედეგად. ამას მოჰყვა სიკვდილიანობის და შობადობის მკვეთრი შემცირება.

ამჟამად საქართველოს მოსახლეობაში შეინიშნება დემოგრაფიული დაბერების პროცესი: 2000 წლიდან 2020 წლამდე პერიოდში, 65 წლის და უფროსი ასაკის ქალების წილი ქალების მთლიან რიცხოვნობაში გაიზარდა დაახლოებით 22%-ით, მაშინ როცა მამაკაცებში იგივე მაჩვენებელი დაახლოებით 14%-ით არის გაზრდილი.

ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში ჩვეულებრივ, ბიჭი უფრო მეტი იბადება, ვიდრე გოგო. იგივე ტენდენცია, წლების მანძილზე, საკმაოდ სტაბილურად არის გამოხატული საქართველოშიც. ახალშობილი ბიჭების წილი 52%-ს შეადგენს. ამრიგად, 30 წლამდე ასაკში, მამაკაცების რიცხვი აღემატება ქალების რაოდენობას. თუმცა 30 წლის და უფროს ასაკში, ქალების რიცხოვნობა სჭარბობს კაცების რიცხოვნობას, ამ უკანასკნელის მაღალი მოკვდაობის გამო. საერთაშორისო მასშტაბით, კაცებში მოკვდაობის მაღალი მაჩვენებელი გარკვეულწილად ქცევით ხასიათს ატარებს: გენდერული განსხვავება ალკოჰოლის მოხმარებაში, მწვევლებში, სარისკო აქტივობებში მონაწილეობაში, ისეთები, როგორიცაა ავტომანქანის მართვა, განსაზღვრავს ქალების სიცოცხლის უფრო მაღალ ხანგრძლივობას კაცებთან შედარებით.

ამრიგად, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას უფრო მაღალია, ვიდრე კაცების. ამასთან, სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაში სქესის მიხედვით განსხვავებები არსებითია, ქალებისთვის შეადგენს 78.4 წელს, ხოლო კაცებისთვის 69.8 წელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლო წლებში ცოცხლად დაბადებულებში გოგოებისა და ბიჭების თანაფარდობა სტაბილური რჩება, რის გამოც სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას (დაბადებული ბიჭების რაოდენობა ყოველ 100 გოგოზე) შეადგენს დაახლოებით 108-ს. თუმცა საინტერესოა, რომ სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაში მნიშვნელოვანი

შემცირება გამოვლინდა მესამე რიგითობის ბავშვის დაბადების შემთხვევაში: ამ მაჩვენებლის დონე ყველაზე მაღალი იყო 2006 წელს და შეადგენდა 141-ს, თუმცა შეინიშნებოდა მუდმივი შემცირების ტენდენცია და 2019 წელს 113 შეადგინა, რაც მიუთითებს გენდერული ნიშნით სქესის შერჩევასთან დაკავშირებული საკითხების დადებით განვითარებაზე.

მიგრაცია კვლავაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაში. ტრადიციულად მაღალია მობილობა კაცებს შორის: 2019 წელს კაცები შეადგენდნენ იმიგრანტების 59%-ს და ემიგრანტების 56%-ს.

რეგისტრირებული ქორწინების საშუალო ასაკმა, ბოლო 10 წლის განმავლობაში, სტაბილური ზრდა აჩვენა: ქალების ქორწინების საშუალო ასაკი 2009 წელს 26.5-ს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს - 29.7-ს. კაცების შემთხვევაში ანალოგიური ზრდა ნაკლებად იყო გამოხატული, მათი ქორწინების საშუალო ასაკმა შესაბამისად 30.2 და 32.6 წელი შეადგინა.

მოსახლეობა

რიცხოვნობა (ათასი)





წელი	მოსახლეობა		ცოცხლად დაბადებულები		გარდაცვალება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
2009	1 989 ¹⁾	1 811 ¹⁾	27	30	24	26
2019	1 927 ²⁾	1 790 ²⁾	23	25	23	24

წელი	იმიგრანტები		ემიგრანტები	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
2009	24	39	41	57
2019	40	57	46	59

¹⁾ 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.²⁾ 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

მოსახლეობა ასაკის და სქესის მიხედვით

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)



¹⁾ 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის გადაანგარიშებული მონაცემები.

²⁾ 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.


სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

კაცი 100 ქალზე


ასაკი	
0-4	107.2
5-9	108.1
10-14	111.1
15-19	113.1
20-24	111.6
25-29	103.6
30-34	100.6
35-39	99.7
40-44	98.1
45-49	97.3
50-54	92.7
55-59	86.8
60-64	79.5
65-69	71.7
70-74	64.0
75-79	55.7
80-84	48.8
85+	42.6

მოსახლეობის მედიანური ასაკი




ცოცხლად დაბადებულთა განაწილება სქესის მიხედვით

(%)




სქესთა რომდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას

ბიჭი 100 გოგონა




შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი

ერთი ქალის მიერ გარჩენილი ბავშვების საშუალო რიცხვობა



მოსახლეობის აღწარმოების ბრუტო¹⁾ და ნეტო²⁾ კოეფიციენტები




¹⁾ ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებული გოგონების საშუალო რიცხოვნობა.

²⁾ ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15-49 წლის ასაკში) ცოცხლად დაბადებული გოგონების საშუალო რიცხოვნობა, რომლებიც იცოცხლებენ იმ ასაკამდე, რომელშიც დედა იყო თითოეული ამ გოგოს დაბადებისას.

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი (SDG 3.7.2)

დაბადებულთა რიცხოვნობა 1000 ქალზე, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით




სქესთა თანაფარდობა დაბადების რიგითობის მიხედვით

ბიჭი 100 გოგონა


წელი	დაბადების რიგითობა:		
	პირველი შვილი	მეორე შვილი	მესამე და მომდევნო შვილი
2006	108	112	141
2007	108	113	139
2008	110	109	132
2009	106	109	133
2010	104	108	129
2011	108	105	125
2012	110	107	118
2013	106	104	122
2014	105	105	117
2015	105	108	121
2016	102	103	112
2017	107	105	114
2018	106	107	113
2019	106	106	113

მოზარდების შობადობის კოეფიციენტი


15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა ამავე ასაკობრივი ჯგუფის 1 000 ქალზე.



ცოცხლად დაბადებულების განაწილება მშობლების ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით



სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას (წელი)



გარდაცვალება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

ასაკი	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
0	1	1	44	56
1-9	0	0	43	57
10-19	0	1	28	72
20-29	0	1	24	76
30-39	1	2	22	78
40-49	2	6	22	78
50-59	6	14	27	73
60-69	12	23	34	66
70-79	23	23	49	51
80+	55	29	64	36
სულ	პროცენტი	100	100	
	რიცხოვნობა	22 640	24 019	

გვერდობა დედის ასაკის მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

ასაკი	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
<15	0	0	0	0
15-19	6	7	48	52
20-29	46	45	49	51
30-39	40	40	48	52
40-49	8	8	47	53
50+	0	0	0	0
სულ პროცენტი	100	100	49	51
რიცხოვნობა	222	235		


იმიგრანტების რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

ასაკი	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება		
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	
0	2	2	46	54	
1-9	8	6	48	52	
10-19	9	8	43	57	
20-29	20	25	36	64	
30-39	19	25	34	66	
40-49	15	17	39	61	
50-59	15	11	49	51	
60-69	9	5	57	43	
70-79	2	1	62	38	
80+	1	0	69	31	
სულ	პროცენტი	100	100	41	59
	რიცხოვნობა	39 648	57 216		

ნიმგრანტების რიცხოვნობა მოქალაქეობის მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%)




ემიგრანტების რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

ასაკი	პროცენტული ნილი		სქესის მიხედვით განაწილება		
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	
0	1	1	47	53	
1-9	8	7	47	53	
10-19	8	8	44	56	
20-29	21	27	38	62	
30-39	21	26	38	62	
40-49	18	17	45	55	
50-59	14	10	55	45	
60-69	6	3	62	38	
70-79	2	1	67	33	
80+	1	0	72	28	
სულ	პროცენტი	100	100	44	56
	რიცხოვნობა	46 261	58 846		

ემიგრანტების განაწილება მოქალაქეობის მიხედვით, 2019 წ.

(%)




დაქორწინებულთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

ასაკი	პროცენტული ნილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
16-19	8	1	87	13
20-29	53	48	53	47
30-39	24	31	44	56
40-49	10	13	44	56
50-59	4	5	41	59
60+	1	2	35	65
სულ პროცენტი	100	100		
რიცხოვნობა	23 285	23 285		

დაქორწინებულთა საშუალო ასაკი

ყველა ქორწინება



დაქორწინებულთა რიცხოვნობა ქალაქად და სოფლად, 2019 წ.

განანილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

ასაკი	ქალაქად		სოფლად	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
16-19	6	1	12	2
20-29	52	45	53	51
30-39	26	32	22	29
40-49	11	14	9	11
50-59	4	6	3	5
60+	1	2	1	2
სულ პროცენტი	100	100	100	100
რიცხოვნობა	14 024	14 024	9 261	9 261

ადრეული ქორწინება (SDG 5.3.1)

პროცენტული მაჩვენებელი ქალებისა/კაცებისა, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ ან დაინწყეს ცხოვრება პარტნიორთან 15 და 18 წლის ასაკამდე, (%)

ასაკი	ქალაქად		სოფლად		სულ	
	< 15	< 18	< 15	< 18	< 15	< 18
20-24 წლის ასაკის ქალების წილი	0.0	8.0	0.8	25.0	0.3	13.9
20-24 წლის ასაკის კაცების წილი	0.0	0.0	1.3	1.3	0.5	0.5

წყარო: მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, საქართველო 2018.


განქორწინებულთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	ასაკი	ქალი	კაცი
	<20	1	0
	20-29	25	17
	30-39	37	36
	40-49	22	26
	50-59	11	14
	60+	4	7
სულ	პროცენტი	100	100
	რიცხოვნობა	11 205	11 205

განქორწინებულთა საშუალო ასაკი

ყველა ქორწინება



ქალი და კაცი
საქართველოში

ჯანმრთელობის დაცვა



ბოლო 15 წლის განმავლობაში ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულმა მნიშვნელოვანმა სახელმწიფო ინვესტიციებმა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის დანერგვამ, გამოიწვია ჯანმრთელობის ძირითადი ინდიკატორების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. 2000-იანი წლების დასაწყისთან შედარებით, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (გარდაცვლილი ბავშვების რაოდენობა 1000 ცოცხლად დაბადებულზე) ოთხჯერ შემცირდა და 2019 წელს ბიჭებისთვის 8.6-ს, ხოლო გოგონებისთვის 7.1-ს გაუტოლდა.

მსგავსი ტენდენციები შეინიშნება 5 წლამდე ასაკის ბავშვების მოკვდაობის კოეფიციენტში, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში როგორც გოგონებში, ასევე ბიჭებში 2.5-ჯერ შემცირდა. ამავე პერიოდში დედათა სიკვდილიანობა საქართველოში 2.1-ჯერ შემცირდა.

მეორეს მხრივ, დადგენილია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში გასამაგებულმა ჯანდაცვის ხარჯებმა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის შემოღებამ, გამოიწვია პაციენტების ვიზიტების რაოდენობის მინიმუმ 50%-ით გაზრდა, რაც გულისხმობს სხვადასხვა სახის გადამდები და არაგადამდები დაავადებების უფრო მეტ რეგისტრირებულ რაოდენობას. ანალიზმა აჩვენა, რომ მამაკაცებში ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და ფსიქიკური აშლილობის ახალი შემთხვევები აღემატება ქალებში გამოვლენილ შემთხვევებს, ხოლო ქალებში მამაკაცებთან შედარებით უფრო მეტია ახალდიაგნოზირებული ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევები.

სიკვდილის მიზეზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შემთხვევათა საერთო რაოდენობაში კვლავ ჭარბობს სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები, რაც ქალთა მოკვდაობის მიზეზის 50%-ს, ხოლო მამაკაცთა სიკვდილიანობის 43%-ს შეადგენს. მამაკაცებში უფრო მეტია გარდაცვალების მიზეზი ნეოპლაზმებით (56%) და ასევე, ტრავმებით, მოწამვლით და სხვა გარეგანი მიზეზებით (72%).

ექიმების რაოდენობა (SDG 3.C.1)

სქესის მიხედვით განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

	2001	2009	2019
ქალი	67	67	63
კაცი	33	33	37
სულ პროცენტი	100	100	100
რიცხოვნობა	20	21	32

წყარო: საქართველოს ოპორტიუნისტული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

გარდაცვალების მიზეზები, 2019 წ. (SDG 3.4.1)

განანილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

	პროცენტული ნილი		სქესის მიხედვით განანილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	50	43	52	48
სიმსივნეები	15	18	44	56
კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევებით გამოვლენილი სიმპტომები	14	12	53	47
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	7	7	47	53
ტრავმები, მონამვლები და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები	3	7	28	72
სხვა ავადმყოფობები	11	13	45	55
სულ პროცენტი	100	100	49	51
რიცხოვნობა	23	24		


5 წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (SDG 3.2.1)

1 000 ცოცხლად დაბადებულზე

	ბიჭი	გოგო
2009	26.8	22.4
2010	21.1	16.6
2011	18.0	13.0
2012	18.9	14.4
2013	17.3	13.7
2014	11.4	10.3
2015	10.8	9.6
2016	12.1	9.2
2017	11.8	10.4
2018	10.7	8.7
2019	10.1	8.5


ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (SDG 3.2.2)

1 000 დაბადებულზე



დედათა მოკვდაობის კოეფიციენტი (SDG 3.1.1)


რიცხვითობა (ერთეული)



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

რეგისტრირებული აბორტების რაოდენობა

რაოდენობა (ათასი)



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ტუბერკულოზის გავრცელება (SDG 3.3.2)

სქესის მიხედვით განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

	2001	2011	2019
ქალი	26	26	25
კაცი	74	74	75
სულ პროცენტი	100	100	100
რიცხოვნობა	6	6	2

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

შიდსის შემთხვევათა რაოდენობა სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით (SDG 3.3.1)


სქესის მიხედვით განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	2012	2015	2019
ქალი	30	27	25
კაცი	70	73	75
სულ პროცენტი	100	100	100
რიცხოვნობა	359	270	265

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ფსიქიკური და ქცევითი აბლილობების შემთხვევები სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით


რისხოვნობა (ათასი)



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ავთვისებიანი სიბინძურების შემთხვევათა რაოდენობა სიცოცხლეში კირველად დადგენილი ღიაგზოებით (SDG 3.4.1)

რიცხვოვნობა (ათასი)



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

თვითგკვლელობათა რაოდენობა, 2019 წ. (SDG 3.4.2)

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

		პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
		ქალი	კაცი	ქალი	კაცი
15 წლამდე		3	1	33	67
15-19		11	2	44	56
20-29		11	18	9	91
30-49		24	29	12	88
50+		53	50	15	85
სულ	პროცენტი	100	100	100	100
	რიცხოვნობა	38	223		

ბავშვთა ნუტრიციული სტატუსი (SDG 2.2.1/2.2.2)

(პროცენტული წილი 5 წლამდე ასაკის ბავშვებში ნუტრიციული სტატუსის მიხედვით)

	ჭარბონიანობა	სიმალეში ჩამორჩენა	გამოფიტვა
ქალი	3.1	6.4	0.6
კაცი	1.0	5.1	0.7
სულ	2.1	5.8	0.6

წყარო: მრავალენდობითი კლასტერული კვლევა, საქართველო 2018.

კონტრაცეფციების გამოყენება, 2018 წ. (SDG 3.7.1)

(%)

15-49 წლის ასაკის დაოჯახებული ქალების განაწილება

თანამედროვე მეთოდი

ქალის სტერილიზაცია	3.3
მამაკაცის სტერილიზაცია	0.9
საშვილოსნოსშიგა სპირალი	7.8
ინექციები	0.0
იმპლანტები	0.3
აბები	5.2
მამაკაცის პრეზერვატივი	13.8
ქალის პრეზერვატივი	0.0
დიაფრაგმა	0.0
სანთელი	1.4

ტრადიციული მეთოდი

პერიოდული თავშეკავება	4.3
არასრული (შენწყვეტილი) სქესობრივი აქტი	3.2
სხვა	0.4

არაიდენტიფიცირებული

არ იყენებს	59.0
------------	------

წყარო: მრავალენდობრივი კლასტერული კვლევა, საქართველო 2018.

ინფორმირებული/ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ, 2018 წ. (SDG 5.6.1)

ამჟამად დაქორწინებული ან პარტნიორთან მცხოვრები 15-49 წლის ქალების
პროცენტული წილი

	ქვეყანა	ქალაქი	სოფელი
ქალების რიცხოვნობა, სულ ერთეული	4 920	2 986	1 934
შეუძლიათ უარი უთხრან ქმარს/ პარტნიორს სქესობრივ აქტზე	83.8	87.9	77.5
ქალის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ არის მიღებული ძირითადად ქმრის/ პარტნიორის მიერ	95.7	95.9	95.6

წყარო: მრავალენდობრივი კლასტერული კვლევა, საქართველო 2018.

ქალი და კაცი
საქართველოში

განათლება



განათლების ხელმისაწვდომობა, ყველა დონეზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ქალთა გაძლიერებაში.

საქართველოში, შესაბამისი ასაკის ბიჭებისა და გოგოების წილი დაწყებით სკოლაში - დაწყებით კლასებში წმინდა ჩარიცხვა - კვლავ რჩება საკმაოდ მაღალ დონეზე და ბოლო პერიოდში, ორივე სქესისთვის, დაახლოებით 96%-ს უტოლდება. მეორეს მხრივ, სკოლამდელ განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების ზრდამ, რამაც საჯარო საბავშვო ბალები უფასო გახადა, გამოიწვია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვების რაოდენობის მკვეთრი ზრდა: 5 წლის ასაკში საბავშვო ბაღში დადიოდა გოგოების დაახლოებით 92% და ბიჭების 88%. ამრიგად, განათლების ადრეულ ეტაპზე გენდერული განსხვავებები პრაქტიკულად არ არსებობს, თუმცა, გოგოების წილი ოდნავ მაღალია.

ბიჭები, უფრო მეტად, სწავლის შეწყვეტას იწყებენ სავალდებულო საბაზისო განათლების მიღების შემდეგ. იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიულ განათლებას იღებს ბიჭებისა და გოგოების პრაქტიკულად თანაბარი რაოდენობა, ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ბიჭები უფრო მეტად არიან მიდრეკილნი შრომის ბაზარზე აქტიური ჩართვისთვის.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაახლოებით 11.0 ათასი ბიჭი და გოგო სწავლობს. გოგოები, როგორც წესი, დომინირებენ ხელოვნების, ჯანმრთელობის, განათლებისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამებში, ხოლო ბიჭები წარმოადგენენ სტუდენტების უმრავლესობას საინჟინრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალობებში.

ქალებს უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ უფრო მეტად ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, განათლებაში, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის პროგრამებში. კაცები დომინირებენ საინჟინრო, საწარმოო და სამშენებლო პროგრამებში. ანალოგიური გენდერული განაწილება შეიმჩნევა დოქტორანტებშიც.

ზოგადი განათლების მასწავლებლები წარმოადგენენ განათლების სექტორში დასაქმებულთა უმსხვილეს კატეგორიას. ქალი სკოლის მასწავლებლების რაოდენობამ 2019 წელს დაახლოებით 55 000 შეადგინა, რაც 6.5-ჯერ აღემატება მამრობითი სქესის მასწავლებელთა რაოდენობას. ქალები აღემატება კაცებსაც პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, თუმცა აქ გენდერული განსხვავებები ნაკლებად არის გამოხატული.

**15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება
განათლების მიღებული დონის და ასაკის
მიხედვით, 2019 წ.**
რიცხვითობა (ათასი)

	დანყვებითი/ საბაზო	საშუალო ზოგადი	დანყვებითი პროფესიული, სახელობო	საშუალო პროფესიული	უმაღლესი	განათლების გარეშე
15-19						
ქალი	64.4	32.0	0.4	0.3	0.0	0.3
კაცი	73.2	32.9	1.1	0.8	0.1	0.5
20-29						
ქალი	15.0	94.1	5.4	26.9	68.6	1.9
კაცი	18.2	143.6	5.6	16.8	51.7	1.0
30-39						
ქალი	18.4	74.3	7.1	40.1	115.2	1.6
კაცი	22.4	105.2	7.9	21.2	97.4	1.6
40-49						
ქალი	10.2	72.5	6.1	44.1	99.6	1.2
კაცი	15.0	95.3	12.4	27.1	76.3	0.8
50-59						
ქალი	7.3	89.6	11.5	81.5	90.8	1.5
კაცი	5.5	88.7	17.3	54.4	71.6	0.8
60+						
ქალი	61.5	178.2	20.6	129.8	143.9	9.1
კაცი	28.7	115.7	21.7	74.6	102.2	2.7

მოსწავლეთა და სტუდენტთა რიცხოვნობა 2019/2020 სასწ. წ. დასაწყისისათვის (SDG 4.3.1)

განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
მოსწავლეთა რიცხოვნობა:				
სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებში	90	89	48	52
კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებში	10	11	45	55
სულ პროცენტი	100	100	48	52
რიცხოვნობა	284	309		
სახელმწიფო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში¹⁾				
კერძო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში ¹⁾	22	40	64	36
სულ პროცენტი	100	100	50	50
რიცხოვნობა	5	5		
სტუდენტთა რიცხოვნობა:				
სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში	64	64	51	49
კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში	36	36	48	52
სულ პროცენტი	100	100	50	50
რიცხოვნობა	75	73		

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; სახსრები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევა.

¹⁾ კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა.

კედაგოგების/პროფესორ-მასწავლებლების რიცხოვნობა 2019/2020 სასწ. წ. დასაწყისისათვის

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	პროცენტული ნილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებში	88	88	87	13
კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებში	12	12	88	12
სულ პროცენტი	100	100		
რიცხოვნობა	55 376	8 404		
სახელმწიფო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში	48	63	62	38
კერძო პროფესიულ და საზოგადოებრივ კოლეჯებში	52	37	76	24
სულ პროცენტი	100	100		
ერთეული	3 431	1 578		
სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში	56	56	55	45
კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დანესებულებებში	44	44	54	46
სულ პროცენტი	100	100		
ერთეული	5 377	4 517		

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქსტატი, უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებების სტატისტიკური გამოკვლევა.

საბაზო და საშუალო სკოლის დასრულების მაჩვენებლები, 2019 წ. (SDG 4.1.1)


რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
მიიღო:				
საბაზო განათლება	21	23	47	53
საშუალო განათლება	19	20	49	51

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მოსწავლეთა რიცხოვნობა, რომლებმაც შეწყვიტეს სწავლა 2019/2020 სასწავლო წლის განმავლობაში, კლასების მიხედვით (SDG 4.1.3)

(ერთეული)



წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.


**კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა სპეციალურ და კერძო
საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან პროფესიული
საგანმანათლებლო პროგრამების და ასაკის მიხედვით, 2019 წ.**
განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

პროგრამების მიხედვით	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
აგრარული მეცნიერებანი	14	17	44	56
ბიზნესის ადმინისტრირება	22	10	68	32
განათლება	4	-	100	-
ინჟინერია	8	49	15	85
ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები	0	2	20	80
მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები	7	14	33	67
ხელოვნება	14	2	90	10
ჯანდაცვა	28	3	90	10
სხვა	2	4	35	65
ასაკის მიხედვით, წელი				
15-17	4	10	29	71
18-20	19	23	45	55
21-23	29	22	57	43
24-26	12	13	47	53
27-29	9	9	50	50
30-32	6	6	49	51
33-36	6	5	57	43
>36	15	12	55	45
სულ	პროცენტი	100	100	
	რიცხოვნობა	5 448	5 480	

წყარო: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.


სტუდენტთა განაწილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროგრამების მიხედვით, 2019/2020 სსსნ. წ. დასაწყისისათვის

(%)



კურსდამთავრებულების განაწილება პროგრამების მიხედვით, 2019/2020 სასწ. წ. დასაწყისისათვის

(%)



პროფესორ - მასწავლებელთა რიცხოვნობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 2019/2020 სასწ. წ. დასაწყისისათვის

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ძირითადი პერსონალი:				
პროფესორი	15	29	54	46
ასოცირებული პროფესორი	39	33	38	62
ასისტენტ - პროფესორი	15	10	58	42
მასწავლებელი	17	21	65	35
სხვა	14	7	49	51
სულ პროცენტი	100	100	69	31
რიცხოვნობა	5 377	4 517		
ხელშეკრულებით დასაქმებულები:				
პროფესორი	4	8	44	56
ასოცირებული პროფესორი	4	4	64	36
ასისტენტ - პროფესორი	1	2	49	51
მასწავლებელი	40	46	58	42
სხვა	51	41	66	34
სულ პროცენტი	100	100	62	38
რიცხოვნობა	7 759	4 855		

დოქტორანტების მიღება პროგრამების მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	პროცენტული ნილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
განათლება	4	1	81	19
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	12	6	69	31
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	54	51	55	45
მეცნიერება	9	12	46	54
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	6	19	25	75
სოფლის მეურნეობა	2	2	50	50
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	13	6	71	29
მომსახურება	1	3	18	82
სულ პროცენტი	100	100	53	47
რიცხოვნობა	703	619		

დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა პროგრამების მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
განათლება	2	0	86	14
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	20	15	63	37
სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი	41	35	60	40
მეცნიერება	15	13	60	40
საინჟინრო, დამამუშავებელი და სამშენებლო დარგები	8	22	31	69
სოფლის მეურნეობა	1	2	50	50
ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	11	7	69	31
მომსახურება	1	6	13	87
სულ პროცენტი	100	100	56	44
რიცხოვნობა	274	213		

დოქტორანტიების სამეცნიერო ხელმძღვანელების რიცხოვნობა

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	2017	2018	2019
ქალი	40	42	41
კაცი	60	58	59
სულ პროცენტი	100	100	100
რიცხოვნობა	1 949	1 732	2 064

მკვლევარების რიცხოვნობა, 2019 წ. (SDG 9.5.2)

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
განათლების დონის მიხედვით:				
დოქტორი/გათანაბრებული	72	71	52	48
მაგისტრი/გათანაბრებული	26	27	52	48
ბაკალავრი/გათანაბრებული	2	2	60	40
სულ პროცენტი	100	100		
ასაკის მიხედვით:				
<25	1	1	51	49
25-34	11	12	51	49
35-44	22	15	61	39
45-54	22	19	57	43
55-64	20	20	52	48
65+	24	33	44	56
სულ პროცენტი	100	100		

	პროცენტული ნილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სამეცნიერო სფეროების მიხედვით:				
საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	21	26	47	53
ინჟინერია და ტექნოლოგია	11	25	33	67
სამედიცინო და ჯანდაცვის მეცნიერებები	17	9	66	34
სოფლის მეურნეობა/ვეტერინარია	5	4	55	45
სოციალური მეცნიერებები	23	23	52	48
ჰუმანიტარული მეცნიერებები და ხელოვნება	23	12	68	32
არაიდენტიფიცირებული	0	1	47	53
სულ პროცენტი	100	100		
რიცხოვნობა	5 339	4 852		

ადრეული განვითარების ინდექსი (SDG 4.2.1)

(%)

	3-4 წლის ასაკის ბავშვების პროცენტული ნილი, რომელთა განვითარება სათანადოდ მიმდინარეობს				ადრეული განვითარების ინდექსი
	წარა-კითხვა, დათვლა	ფიზიკური	სოციალურ-ემოციური	სწავლება	
ქალი	26.0	98.6	88.4	99.0	88.5
კაცი	24.8	99.6	89.9	98.3	90.8
სულ	25.4	99.1	89.2	98.7	89.6

წყარო: მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, საქართველო 2018.

ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის დონა (SDG 4.2.2)

შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში (სკოლაში შესვლის ოფიციალურ ასაკზე ერთი წლით უმცროსი) ბავშვების პროცენტული წილი, რომლებიც იღებენ განათლებას ბაღში ან სკოლის დაწყებით საფეხურზე

	დასწრების წმინდა მაჩვენებელი
ქალი	92.2
კაცი	87.5
სულ	89.6

წყარო: მრავალენდობრივი კლასტერული კვლევა, საქართველო 2018.

ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის მაჩვენებელი, 2018 წ. (SDG 4.5.1)

ბავშვების პროცენტული განაწილება

	ბიჭი	გოგო
დადიან საბავშვო ბაღში	87.5	92.2
დადიან სკოლის დაწყებით საფეხურზე	0.0	0.0
არ დადიან საბავშვო ბაღში და სკოლის დაწყებით საფეხურზე	12.5	7.8

წყარო: მრავალენდობრივი კლასტერული კვლევა, საქართველო 2018.

თანასწორობის ინდექსი, 2018 წ. (SDG 4.5.1)

დასწრების წმინდა კორექტირებული მაჩვენებლების თანაფარდობა, გოგონების ბიშაბთან მიმართებით, სკოლის დაწყებითი, საბაზო და სრული საშუალო საფეხურებისთვის

	ქალაქი		სოფელი	
	გოგონ	ბიჭი	გოგონ	ბიჭი
დაწყებითი განათლება	98.3	98.1	97.5	97.2
საბაზო (არასრული საშუალო) განათლება	94.2	97.0	98.6	94.7
სრული საშუალო განათლება	87.2	84.8	86.2	79.9

წყარო: მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, საქართველო 2018.

ქალი და კაცი
საქართველოში

სოციალური უზრუნველყოფა



საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის ტიპები შეიძლება დაიყოს ორ ფართო ჯგუფად: სტატუსზე დაფუძნებული და საარსებო საშუალების შემონ-
მების მიხედვით. პირველი ძირითადად მოიცავს ასაკით პენსიას და სოციალურ
პაკეტებს, ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილები) დახმარებას,
ხოლო საარსებო საშუალებებით შემონმებული, სოციალური დაცვის მთავარი
მიმწოდებელია მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა.

მასშტაბის თვალსაზრისით, პენსია წარმოადგენს სოციალური უზრუნველ-
ყოფის უმსხვილეს კატეგორიას, რომელიც მოიცავს მთლიან მოსახლეობის
დაახლოებით 20%-ს. პენსია ქალებს შეუძლიათ მიიღონ 60 წლის ასაკიდან,
ხოლო კაცებს 65 წლიდან. ეს ფაქტი გენდერული თვალსაზრისით, სიცოცხლის
მოსალოდნელ ხანგრძლივობაში ქალების სასარგებლოდ თითქმის 8-წლიან
განსხვავებას იწვევს, პენსიონერი ქალების რიცხოვნობის სიჭარბეს პენსიონერ
კაცებზე თითქმის 2.5-ჯერ. მეორეს მხრივ, სოციალური პაკეტების მიმღები კაცე-
ბის რიცხვი თითქმის ორჯერ აღემატება ბენეფიციარი ქალების რიცხოვნობას,
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, სახელმწიფო კომპენსაციის მიმ-
ღებთა და ომის ვეტერანთა შორის უფრო მეტი კაცის არსებობის გამო.

ქალები ასევე წარმოადგენენ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგ-
რამის ბენეფიციართა უმრავლესობას. ასაკის პენსიის შემთხვევაში, ეს ფაქტი
აიხსნება დემოგრაფიული ფაქტორებით, რადგან დაუცველ მოხუც მოსახლეო-
ბაში უფრო მეტი ქალია.

პენსიის მიმღებთა რიცხოვნობა, 2019 წ. (SDG 1.3.1)

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
პენსიის (ასაკით პენსია) მიმღებები	543	220	71	29

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სოციალური კაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა ასაკის მიხედვით, 2019 წ. (SDG 1.3.1)

რიცხოვნობა (ათასი), განაწილება (%)

ასაკი	რიცხოვნობა		პროცენტული განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
სოციალური კაკეტის მიმღები:				
0-17 წლის	15	18	25	17
18-59 წლის	44	68	71	61
60+	3	24	4	22
სულ რიცხოვნობა	61	111		

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სოციალური კაპიტის მიმდებარე რიცხოვნობა, 2019 წ. (SDG 1.3.1)


განაწილება (%), რიცხოვნობა (ათასი)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	81	69	39	61
მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი	17	10	48	52
პოლიტრეპრესირებულები	0	0	29	71
სახელმწიფო კომპენსაციის მიმღებები	1	9	5	95
ომის მონაწილეები	0	12	2	98
საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღებები	0	0	77	23
სხვა	0	0	23	77
სულ პროცენტი	100	100	36	64
რიცხოვნობა	61	111		

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

პენსიის და სოციალური პაკეტის მიმღებთა განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, 2019 წ.


(%)



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

საარსებო შენეების მიმდებარე რიცხოვნობა (SDG 1.3.1)

(ათასი)



წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მოხუცებულთა განთავსება თავშესაფრებში, 2019 წ.

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
მოხუცებულთა განთავსება თავშესაფრებში	26	18	59	41

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მიტოვებული და გაშვილებული ბავშვები, 2019 წ.

რიცხოვნობა (ერთეული), განაწილება (%)

	რიცხოვნობა		სქესის მიხედვით განაწილება	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
მშობლების მიერ მიტოვებული ბავშვების რაოდენობა	9	6	60	40
გაშვილებული ბავშვები	30	25	55	45

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხოვნობა, 2019 წ.

განაწილება (%), რიცხოვნობა (ერთეული)

რეგიონი	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
თბილისი	39	38	54	46
აჭარის არ	3	3	52	48
გურია	0	0	53	47
იმერეთი	10	10	54	46
მცხეთა-მთიანეთი	4	4	51	49
კახეთი	1	1	52	48
სამცხე-ჯავახეთი	1	1	54	46
სამეგრელო-ზემო სვანეთი	31	31	53	47
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0	0	52	48
ქვემო ქართლი	5	5	53	47
შიდა ქართლი	6	7	51	49
სულ პროცენტი	100	100	53	47
რიცხოვნობა	152 106	134 110		

წყარო: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ქალი და კაცი
საქართველოში

სამუშაო ძალა, ხელფასები




შრომის ბაზარში ჩართულობა, რაც პირდაპირ გულისხმობს, რომ პირი არის დასაქმებული ან აქტიურად ეძებს სამუშაოს, წარმოადგენს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს. შესაბამისი სამუშაო ძალის მონაწილეობის დონის სტატისტიკური მაჩვენებელი ბოლო 10 წლის განმავლობაში მამაკაცებისთვის შეადგენდა დაახლოებით 62-67% და ქალებისთვის 42-46%, რაც მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებაზე გენდერული მიმართულებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში ქალების უმუშევრობის ტრადიციულად დაბალი დონე, მამაკაცებთან შედარებით, შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს. თუმცა ამის ახსნა მარტივია: უმუშევრად ითვლება ის, ვინც აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის თითქმის დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა. იქიდან გამომდინარე, რომ ქალები შრომის ბაზარზე ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან, უმუშევარი ქალების წილიც შესაბამისად, დაბალი გამოდის.

ხელფასებში განსხვავება გენდერული მიმართულებით კვლავაც მნიშვნელოვანი რჩება, რადგან ქალები იღებენ მამაკაცთა საშუალო თვიური ხელფასის ორ მესამედზე ნაკლებს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს თანაფარდობა საკმაოდ სტაბილური რჩება ისე, რომ შრომის ანაზღაურებაში გენდერული სხვაობის შემცირება მკვეთრად გამოკვეთილი არ არის.

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, 2019 წ.

(%)




დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის საქმიანობის სახეების მიხედვით, 2019 წ.

ლარი

	ქალი	კაცი
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	605.7	737.9
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1 033.0	1 429.3
დამამუშავებელი მრეწველობა	733.5	1 210.0
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონერული ჰაერის მიწოდება	1 709.0	1 527.8
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	668.6	879.4
მშენებლობა	1 110.6	1 692.0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	735.1	1 173.7
ტრანსპორტირება და დასაწყობება	966.1	1 513.8
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	709.5	1 079.7
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1 295.6	1 867.9
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	1 533.7	2 849.7
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	926.5	1 363.7
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1 393.9	2 296.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	768.7	905.8

	ქალი	კაცი
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება	1 404.5	1 427.3
განათლება	630.6	725.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	917.8	1 416.0
ხელოვნება, გართობა და დასვენება	990.6	1 261.3
სხვა სახის მომსახურება	658.0	951.6
სულ	869.1	1 361.8

ქალის საშუალო თვიური ხელფასის თანაფარდობა კაცის საშუალო თვიურ ხელფასთან (%)



ქალი და კაცი
საქართველოში

ცხოვრების დონა




ინფორმაცია მოსახლეობის ცხოვრების დონის შესახებ, ტრადიციულად, მიიღება შინამეურნეობების გამოკვლევიდან. იქიდან გამომდინარე, რომ შინამეურნეობა გამოიკითხება, როგორც ერთი სუბიექტი, გარკვეული სირთულეები იქმნება გენდერულ ჭრილში მონაცემთა ანალიზისას. ამის გამო, მონაცემთა ანალიზი, როგორც წესი, წარმოებს შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით.

შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების, აგრეთვე, სიღარიბის მაჩვენებლების არსებული მონაცემებით, გენდერული განსხვავებები შინამეურნეობებში კაცი და ქალი უფროსებით, გამოვლენილი არ არის. თუმცა, ეს განსხვავებები გამოვლინდა შინამეურნეობის ქონებრივი მდგომარეობის ანალიზის შედეგად.

გლობალური მასშტაბით, საქართველო იყო ერთ-ერთი იმ მცირე რაოდენობის ქვეყნებს შორის, რომლებმაც ბოლო პერიოდში ჩაატარეს გამოკვლევა აქტივების ფლობის შესახებ გენდერულ ჭრილში. გამოკვლევამ შინამეურნეობების წევრები ინდივიდუალურად შეისწავლა, რამაც წარმოადგენა შეგვიქმნა შინამეურნეობის წევრებს შორის აქტივების ფლობის ურთიერთმიმართებაზე. გენდერული ნიშნით აქტივების ფლობის (სიმდიდრის) შეფასება - რაც ცხოვრების დონის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ელემენტია - გვიჩვენებს, რომ კაცები ფლობენ და განკარგავენ თითქმის ყველა ტიპის აქტივის უფრო დიდ ნაწილს, როგორცაა უძრავი ქონება, მიწა და მსხვილი ტექნიკა. აქტივების ფლობაში გენდერული დისპროპორცია კაცების უპირატესობით უფრო მეტად გამოხატულია სოფლად.


შინამეურნეობების განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით

(%)



შინამეურნეობების განაწილება შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით ქალაქად და სოფლად, 2019 წ.

(%)



შინამეურნეობების ტიპები შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით, 2019 წ.

განაწილება (%)

	პროცენტული წილი		სქესის მიხედვით განაწილება	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
შინამეურნეობების ტიპები:				
ერთწევრიანი შინამეურნეობა - ქვრივი	19	2	84	16
ერთწევრიანი შინამეურნეობა - სხვა	9	5	49	51
მშობლები 18 წლამდე შვილ(ებ)ით	2	15	7	93
მეუღლეები (რეგისტრირებული/ არარეგისტრირებული ქორწინება)	2	18	5	95
მრავალთაობიანი შინამეურნეობა (ცხოვრობს მინიმუმ 3 თაობა)	29	29	36	64
სხვა	39	31	41	59
სულ პროცენტი	100	100	36	64

**შინამეურნეობების განაწილება ძირითადი
საცხოვრისის საკუთრების ფორმის და შინამეურნეობის
უფროსის სქესის მიხედვით, 2019 წ.**

განაწილება (%)

	ქალი	კაცი
ქვეყანა		
ეკუთვნის შინამეურნეობას	89.5	92.0
დაქირავებულია	5.5	4.3
დაგირავებულია	0.5	0.7
უფასო სარგებლობაშია	4.5	3.0
სხვა/არაიდენტიფიცირებული	0.0	0.0
ქალაქად		
ეკუთვნის შინამეურნეობას	86.3	87.6
დაქირავებულია	8.0	7.7
დაგირავებულია	0.8	1.3
უფასო სარგებლობაშია	4.9	3.4
სხვა/არაიდენტიფიცირებული	0.0	0.0
სოფლად		
ეკუთვნის შინამეურნეობას	96.0	97.5
დაქირავებულია	0.2	0.1
დაგირავებულია	0.0	0.0
უფასო სარგებლობაშია	3.8	2.4
სხვა/არაიდენტიფიცირებული	0.0	0.0

შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავლების თანაფარდობა შინამეურნეობის უფროსის სქესის მიხედვით¹⁾

(%)

	2009	2019
1. შემოსავლები, სულ (2+3)	101	96
2. ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები	105	98
დაქირავებული შრომიდან	95	97
თვითდასაქმებიდან	80	55
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	65	50
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	193	88
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	141	135
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	140	128
საჩუქრად მიღებული ფული	130	131
3. არაფულადი შემოსავლები	82	71
4. სხვა ფულადი სახსრები	84	112
ქონების გაყიდვა	133	164
ფულის სესხება ან დანაზოგის გამოყენება	78	109
5. ფულადი სახსრები, სულ (2+4)	102	100
6. ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ (3+5)	99	98

¹⁾ მრიცხველში მოცემულია შინამეურნეობების საშუალოთვიური შემოსავლები ერთ სულზე, სადაც შინამეურნეობის უფროსი ქალია, ხოლო მნიშვნელში - კაცი.

**შინამეურნეობების საშუალო თვიური ხარჯების
თანაფარდობა შინამეურნეობის უფროსის სქესის
მიხედვით¹⁾**
(%)


	2009	2019
